დანართი #2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამა 1: ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა
პროგრამა 2: ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა
პროგრამა 3: ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10-12 ნოემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28 ნოემბერი, 2022

თბილისი

სარჩევი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 26

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... 33

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 39

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... 55

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კლაუდია მარსიკო ბუენოს აირესის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაკა ლაშხია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მირიან ებანოიძე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ თავხელიძე შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოსოფია	ფილოსოფია	ფილოსოფია
უმაღლესი განათლების საფეხური	საფეხური 6 - ბაკალავრიატი	საფეხური 7 - მაგისტრატურა	საფეხური 8 - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოსოფიის ბაკალავრი	ფილოსოფიის მაგისტრი	ფილოსოფიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0223-ფილოსოფია და ეთიკა	0223-ფილოსოფია და ეთიკა	0223-ფილოსოფია და ეთიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	40
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 28.10.2011 #168	აკრედიტებული 26.07.2012 #259	აკრედიტებული 26.07.2012 #281

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კლასტერი მოიცავს სამ პროგრამას:

(i) ფილოსოფია, ბაკალავრიატის დონეზე

ის 2011 წლიდან ხორციელდება და მოიცავს 240 კრედიტს 4 სასწავლო წლის განმავლობაში. ეს რაოდენობა მოიცავს სავალდებულო კურსების 50 კრედიტს, ძირითადი სპეციალობის შესაბამის 120 კრედიტს, რომელიც დაყოფილია 75 კრედიტად ძირითადი სპეციალობის კურსებისთვის, 35 კრედიტად არჩევითი კურსებისთვის და 10 კრედიტად საბაკალავრო ნაშრომისთვის. დამატებითი სპეციალობა მოიცავს 60 კრედიტს, რომელსაც ავსებს თავისუფალი კურსების 10 კრედიტი. მიდგომა მიზნად ისახავს მიიყვანოს სტუდენტები მთავარი ფილოსოფიური აზროვნების შესახებ ძირითადი ინფორმაციიდან თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის უფრო კომპლექსური პრობლემების გაგებამდე, კრიტიკულ აზროვნებასთან, კომუნიკაციის უნართან და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული კომპეტენციების უზრუნველყოფით.

(ii) ფილოსოფია, სამაგისტრო დონეზე

ის 2012 წლიდან ხორციელდება და მოიცავს 120 კრედიტს 2 სასწავლო წლის განმავლობაში. მისი სტრუქტურა მოიცავს 30 კრედიტს, რომელიც შეესაბამება საერთო საგნებს, 30 კრედიტს სპეციალობის ძირითად კურსებზე, 30 კრედიტს არჩევით კურსებზე და 30 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად. შინაარსი ძირითადად ორიენტირებულია ეთიკისა და პოლიტიკის პრაქტიკულ სფეროზე.

(iii) ფილოსოფია, დოქტორანტურის დონეზე

ის 2012 წლიდან ხორციელდება და სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს, რომელიც უნდა დასრულდეს 3 სასწავლო წლის განმავლობაში. სავალდებულო კურსები მოიცავს 25 კრედიტს, ხოლო 15 კრედიტი შეესაბამება არჩევით კურსს და აქტივობას. ასევე მითითებულია დამატებითი მოთხოვნები შესაბამისი საკვლევი უნარების დაუფლების უზრუნველსაყოფად. პროგრამა მიზნად ისახავს კვლევის უნარ-ჩვევების უზრუნველყოფას მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი სტრატეგიების მეშვეობით, რასაც მივყავართ სადოქტორო დისერტაციამდე.

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასება განხორციელდა 10-12 ნოემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეფასების ფორმატი იყო ჰიბრიდული, სადაც ქართველი ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ესწრებოდნენ გასაუბრებას ადგილზე, ხოლო პანელის თავმჯდომარე ონლაინ, zoom პლატფორმის საშუალებით. აკრედიტაციის ექსპერტებმა 9 ნოემბერს გამართეს წინასწარი შეხვედრა ონლაინ რეჟიმში, სადაც ერთმანეთს გაუზიარეს წინასწარი დასკვნები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიმოხილვის, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების საფუძველზე და დაგეგმეს შეფასების დეტალები. ექსპერტთა პანელს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა პროგრამის ყველა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეს და დაკვირვებოდა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და სამუშაო გარემო იყო თანამშრომლობითი და მისასალმებელი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა პანელმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინა თავისი ძირითადი მიგნებები შემდეგი პუნქტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  <u>**სტანდარტი 1:**</u>
  ქვესტანდარტი 1.1 – 1.4 - შეესაბამება მოთხოვნებს
  1.5 - მეტნაწილად შეესაბამება მოთხოვნებს

  <u>**სტანდარტი 2:**</u>
  ქვესტანდარტი 2.1 – 2.4 - შეესაბამება მოთხოვნებს

  <u>**სტანდარტი 3:**</u>
  ქვესტანდარტი 3.1 – 3.2 - შეესაბამება მოთხოვნებს

  <u>**სტანდარტი 4:**</u>
  ქვესტანდარტი 4.1 – 4.5 - შეესაბამება მოთხოვნებს

  <u>**სტანდარტი 5:**</u>

ქვესტანდარტი 5.1 – 5.3 - შეესაბამება მოთხოვნებს

- **რეკომენდაციები**

1.5 სასწავლო კურსი/საგანი
- დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები სხვა ენობრივი წინაპირობებით დაშვებული სტუდენტების შემთხვევაში.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ყველა სილაბუსი მოიცავდეს გამჭვირვალე და დეტალური შეფასების რუბრიკებს და სწავლის შედეგები სწორად იყოს ფორმულირებული.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1.3 - გაძლიერდეს სტუდენტების გამოკითხვის შინაარსისა და შედეგების შესახებ მასწავლებელთა ინფორმირების პროცედურები, უკუკავშირის და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.
- იმ შემთხვევაშიც, კი თუ არსებობს მნიშვნელოვანი მიღწევები კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათი ჩართულობა შეიძლება გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე გაყვანის შემდგომი უფრო ფართო ღონისძიებებით და დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართვით.
2.3 - ვინაიდან მოწვეული პერსონალი და სტუდენტები იზიარებენ შეხედულებებს წყაროებზე მუშაობის სწავლების მეთოდების შესაბამისობაზე ბაკალავრიატის დონეზე, შეიძლება ღირებული იყოს მოცემულ პროგრამაში ამ სფეროს გაძლიერებისათვის გზების შესწავლა, ისე, რომ არ გამორჩეთ უკვე მიღწეული ბალანსი.
2.4 - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა მცირე ხარვეზად დაასახელეს გარკვეული სირთულეები შეფასების განრიგის შესაბამისობასთან დაკავშირებით, განრიგის გადაფარვის ან მათ შორის ბმების გამო. სასარგებლო იქნებოდა ამ ოპერაციული დეტალების და ზოგადად ამ პრაქტიკული საკითხების გადაჭრა.
3.2 - ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა: მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელისთვის განკუთვნილი სტუდენტების რაოდენობა არ აღემატება ზღვარს, სასარგებლო იქნება, თუ უსდ იმუშავებს თითო პროფესორზე დისერტაციების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრაზე.
- ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა: ზოგიერთ აკადემიური პერსონალის წევრს შორის დაწესებულებამ გაზარდოს ცნობადობა ხელმძღვანელის შეფასების პროცესის შესახებ.
4.1 - მოწვეულ პერსონალს აქვს გარკვეული შეხედულებები ხელფასებთან დაკავშირებულ შრომის პირობებთან და აკადემიური საქმიანობისთვის წახალისებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის საერთო გლობალური საკითხი და არ არსებობს მკაფიო გადაწყვეტილებები, მნიშვნელოვანი იქნებოდა მუშაობა მოწვეული პერსონალის პირობების გაუმჯობესებაზე, რათა ხელი შეეწყოს მათ სამეცნიერო განვითარებას.

4.3 - გაძლიერდეს მასწავლებელთა საქმიანობაში გამოკითხვების და სტუდენტთა შეფასების შედეგების შეტანის პროცედურები, უკუკავშირისა და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.

- ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემდგომი განვითარების შესაფერის გეგმებს, სასარგებლო იქნება ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, პუბლიკაციებთან და მასწავლებელთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან.

4.4- ამჟამად გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ბიბლიოთეკის რესურსების გამდიდრების გაგრძელება.

- დაწესებულებამ განაგრძოს სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

4.5- დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა გრანტებისა და პარალელური დაფინანსების მოპოვებაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-

- **ინფორმაცია უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

-

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანია მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება [3]
2. კლასტერული შეფასება[4]

სტანდარტი/კომპონენტი:	**შეფასების მიდგომები:**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	

[3] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[4] **შეფასების მიდგომები: <u>საჭიროების შემთხვევაში</u>** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოსოფიის სამივე პროგრამა იზიარებს ერთსა და იმავე სფეროს, რაც უზრუნველყოფს თემატურ თავსებადობას და სათანადოდ არის დიფერენცირებული სხვადასხვა დისციპლინური მიდგომების საშუალებით, რათა უზრუნველყოს ეტაპობრივი პროგრესი ზოგადი მონახაზებიდან ფილოსოფიური საგნების სიღრმისეულ ანალიზამდე და განავითაროს შესაბამისი უნარები. მიზნები შეესაბამება ინსტიტუციურ მისიას და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შეესაბამება სიცხადისა და მიღწევადობის შესაბამის კრიტერიუმებს. ისინი მთლიანად შეესაბამება უმაღლესი განათლების სწავლებას ზოგადად და კონკრეტულ სასწავლო დონეებს. საზოგადოებისთვის მოსალოდნელი წვლილი სათანადოდ არის აღწერილი და დასაბუთებული, ასევე მოცემულია კარგი იდეები შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა პოტენციური ინტეგრაციის შესახებ. ინტერნაციონალიზაციის აქტუალობა ადეკვატურად არის ხაზგასმული და შეტანილია როგორც კლასტერის კრიტიკული კომპონენტი, რაც გამოყოფს ამ ასპექტს როგორც საკითხს, რომელსაც შემდგომი განვითარება სჭირდება. ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და საერთო მახასიათებლების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია ინსტიტუციური ვებგვერდის მეშვეობით.
შეხვედრების დროს ყველა მონაწილე დაინტერესებული მხარე ცხადყოფს, რომ კარგად იცის ინსტიტუციური მიზნები და აცნობიერებს მათ როლს ზოგად სტრატეგიაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის მიზნები არის მკაფიოდ განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი; პროგრამაში აღწერილია, როგორ უწყობს იგი ხელს საზოგადოების განვითარებას.
საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზისო თეორიული და აქტუალური ცოდნა ფილოსოფიაში; გააცნოს ფილოსოფიური აზროვნების ძირითადი ტრადიციები, იდეები და მიმართულებები; ასწავლოს ფილოსოფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლების აზროვნება, ფილოსოფიის განვითარების ისტორიული გზა და დასავლური აზროვნების საწყისი პრინციპები და ღირებულებები; შესძინოს ყოფიერების, სამყაროს, შემეცნების, ადამიანისა და საზოგადოების ფუნდამენტური პრობლემების არგუმენტირებული, სისტემური და კონცეპტუალური გაგების გამოცდილება და მათ შესახებ დებატების უნარი.
მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს სტუდენტის დასაქმებას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ფილოსოფიაში, ასევე გამოყენებითი და პროფესიული ეთიკის სფეროში. პროგრამა ითვალისწინებს არსებული შრომის ბაზრის, დამსაქმებლის მოთხოვნებს და ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტს შესაბამისი შესაძლებლობებით. პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება ფილოსოფიის დარგობრივ მახასიათებელს. საბაკალავრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რასაც მოწმობს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებს იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები, რაც დასტურდება ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერული პროგრამების სილაბუსები
- შესაბამისი ინსტიტუციური რეგულაციები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. ქრონოლოგიური ჩარჩო განლაგებულია ანტიკური ფილოსოფიიდან თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიამდე. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნებია ღრმა, სისტემატური და ახალი ცოდნის გადაცემა შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური ფილოსოფია, მორალური ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა, კულტურული ფილოსოფია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, დონის და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომლის განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად კურსდამთავრებულებში. ისინი ასევე ავლენს რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერული პროგრამების სილაბუსები
- შესაბამისი ინსტიტუციური რეგულაციები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამა ეყრდნობა შესაფერის და შესაძლებელ ობიექტებს, რომლებიც კარგად არის დაფუძნებული შესაბამის რეგულაციებზე. მიზნები ყოვლისმომცველია და სათანადო ყურადღება ექცევა კურსდამთავრებულთა მოსალოდნელ პროფილს და მათ ურთიერთობას ზოგადად საზოგადოებასთან, მაღალი ხარისხის, ფართო უნარების განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია ამ სფეროში კვლევის უნარებთან, სწავლების ოსტატობასთან, ინტერდისციპლინურ საქმიანობასთან და აკადემიურ შესაძლებლობებთან პასუხისმგებლიანი და ავტონომიური ქცევის საფუძველზე. სწორად არის გათვალისწინებული სწავლის დონე და კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია შრომის ბაზარზე. ინტერნაციონალიზაცია მხედველობაში მიიღება ტრადიციების, ინოვაციებისა და გლობალური დიალოგის ურთიერთმიმართების თანმიმდევრული ასახვით.
ინტერვიუების დროს სადოქტორო პროგრამის სხვადასხვა მონაწილეები ავლენენ სათანადო ცოდნას პროგრამის მიზნების შესახებ. მენეჯმენტმა და აკადემიურმა პერსონალმა გაიზიარეს მტკიცე შეხედულებები ეროვნულ და ინსტიტუციონალურ ტრადიციაზე, რომელიც შემდგომი განვითარების საფუძველია, რაც ამ ჩარჩოს აკავშირებს პროგრამის მიზნების შემუშავებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერული პროგრამების სილაბუსები
- შესაბამისი ინსტიტუციური რეგულაციები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.1 - პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აქვს სათანადო შიდა ბმა მზარდი სირთულის დონეებზე. ამ თვალსაზრისით, ისინი შეესაბამება თითოეული პროგრამის განათლების საფეხურს და სფეროს და სათანადოდ არის ჩამოყალიბებული საერთო დისციპლინური მახასიათებლების საფუძველზე. ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ ადეკვატურად მიეწოდება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს ეფექტური არხების გამოყენებით. მონახაზი გაზომვადი და განხორციელებადია და სათანადო ყურადღებას აქცევს კურსდამთავრებულთა მომავალ დასაქმებას. სწავლის შედეგების სქემა ასევე შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნას და შეიქმნა ყველა შესაბამისი მხარის ჩართულობით. მათი თანამშრომლობა და წვლილი სათანადოდ იყო აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მენეჯმენტთან და მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო დარგის თავისებურებებთან. კერძოდ: პროგრამის კურსდამთავრებული აღწერს ფილოსოფიურ კატეგორიებს და განმარტავს მათ; განასხვავებს ფილოსოფიის კონკრეტული სფეროების კლასიფიკაციას; ადგენს და განსაზღვრავს ფილოსოფიის კავშირს მითოლოგიასთან, რელიგიასთან და მეცნიერებასთან; იკვლევს ფილოსოფიის სხვადასხვა მეთოდებს და კრიტიკულად იაზრებს მათ ინტერდისციპლინურ კონტექსტში; აღწერს ფილოსოფიის განვითარების ისტორიულ პერიოდებს, განიხილავს განსაკუთრებით დასავლურ ტრადიციას, კლასიკოსებს, მათ იდეებსა და არგუმენტებს, ადარებს ფილოსოფიის განვითარებას დასავლური ტრადიციის ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიას. გარდა ამისა,

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა: წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეჯამება და შეფასება, საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც კომუნიკაციისა და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენება; კრიტიკული აზროვნება, ეფექტური წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია, ეთიკური ნორმების დაცვა პროფესიულ და კვლევით საქმიანობაში. საბაკალავრო პროგრამის შედეგები სრულად შეესაბამება ფილოსოფიის დარგობრივ მახასიათებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის რუკა
- ეროვნული და ინსტიტუციური რეგულაციები
- დოკუმენტები ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის შესახებ და შესაბამისი ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი მოდულის მიხედვით, რომლებიც სრულად შეესაბამება და აკმაყოფილებს პრაქტიკული ფილოსოფიის მოთხოვნებს. საბოლოო მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევის კომპონენტები უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას: ფილოსოფიის მაგისტრი ღრმად აანალიზებს პოლიტიკური ფილოსოფიის, მორალური ფილოსოფიის და კულტურული ფილოსოფიის ძირითად კატეგორიებს, განიხილავს და კრიტიკულად აფასებს იდეებს, იყენებს ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდოლოგიებს, ახდენს ქართული და დასავლური (ევროპული და ამერიკული) ფილოსოფიური აზრის ინტეგრირებას, აკეთებს ინტერპრეტაციას და შედარებას, ქმნის სამეცნიერო ნაშრომს აკადემიური სტანდარტების დაცვით.

I მოდული განმარტავს ფილოსოფიური დისკურსების ფუნქციონირების თავისებურებებს, მათ მსგავსებასა და განსხვავებას, ფორმირებისა და განვითარების ისტორიულ-პოლიტიკურ პირობებს სოკრატე-პლატონიდან დღემდე; აღწერს და განიხილავს კლასიკოსთა ნაშრომებს, თანამედროვე და პოსტმოდერნული პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძვლებს, ძალაუფლების თანამედროვე ფილოსოფიურ თეორიებს;

II მოდული ყურადღებას ამახვილებს ქრისტიანული ეთიკის პრობლემებზე (საზოგადოებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობა, ტაძრის პრინციპი), ეკოლოგიის ეთიკურ ასპექტებზე.

III მოდული განსაზღვრავს ანტიკური ესთეტიკის, რომანტიზმის თავისებურებებს, კლასიკური და არაკლასიკური ესთეტიკის საფუძვლებს, კულტურათა მრავალფეროვნებას, უნიკალურობასა და ორიგინალურობას, კულტურულ დიალოგს, ღირებულებათა საკითხებს.

ინტერვიუების დროს სტუდენტები ავლენენ ტოლერანტობას, ეხმაურებიან ქართულ რეალობაში წარმოქმნილ პრობლემებს. პროგრამა მათ საშუალებას აძლევს გააგრძელონ სწავლა მესამე საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის რუკა
- ეროვნული და ინსტიტუციური რეგულაციები

- დოკუმენტები ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის შესახებ და შესაბამისი ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ორგანიზებულია სამი მიმართულებით: ცოდნა და გაგება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომია. თითოეული მათგანი ადგენს შესაფერის ელემენტებს, რომელიც მოიცავს შინაარსს, კვლევის მეთოდებს, ინტერდისციპლინურ საკითხებს, აკადემიური გარემოს ყოვლისმომცველ გააზრებას, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, საერთაშორისო ნიმუშებს, აკადემიურ უნარებს, შემოქმედებით აზროვნებას და აკადემიურ ეთიკას. ისინი შეესაბამება სფეროს, სათანადო შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, გაზომვადი და მიღწევადია ზოგადი მონახაზის საფუძველზე. სოციალური გარემო და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარი სათანადოდ არის გათვალისწინებული.

ინტერვიუების დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და მენეჯმენტმა წარმოადგინა შესაბამისი ინფორმაცია სწავლის შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და მათ დიზაინში შესაბამისი მხარეების მონაწილეობის შესახებ. პედაგოგებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს თავისი მონაწილეობა და იცოდნენ მათი შინაარსი და შედეგები. დამსაქმებლები კმაყოფილი დარჩნენ სწავლის შედეგების საერთო სქემით და შედეგებით და ამ შედეგებს მაღალი შეფასება მისცეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის რუკა
- ეროვნული და ინსტიტუციური რეგულაციები
- დოკუმენტები ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის შესახებ და შესაბამისი ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები, მისი რეგულაციებისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე მკაფიო პროტოკოლების მეშვეობით მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესაბამის პროცედურებს ეყრდნობა. შეფასების ჯგუფი სათანადოდ არის ორგანიზებული, მის რიცხვში შედიან სხვადასხვა როლის მქონე წევრები, რათა მიიღონ ყოვლისმომცველი შეხედულებები. რეგულარულად გამოყენებული მეთოდები, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, ძალიან მიზანშეწონილია. უკუკავშირის სქემები საკმარისი და ძალიან კარგად შემუშავებულია.

ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ყველა შესაბამისი მხარე იყო ადეკვატურად ინფორმირებული და ჩართული შეფასების პროცედურებში. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღწერეს თავიანთი როლი ზოგად პროცესში და აჩვენეს, რომ მზად არიან შემდგომი განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, ისინი აცხადებდნენ, რომ არ ეყრდნობოდნენ რეგულარულ ინფორმაციას. როგორც რჩევა, პროგრამის ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ პრაქტიკის ჩართვასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, საუკეთესო შედეგების მისაღებად, სტუდენტების გამოკითხვების შესახებ პედაგოგებისთვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია რომ გაძლიერდეს. სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება პროგრამის სფეროსთვის სპეციფიკური პერიოდულობის შესაბამისად. სათანადოდ არის გათვალისწინებული სწავლის სფეროსა და განათლების საფეხურის თავისებურებები. შეფასების ფორმები და მეთოდები, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი, გამართლებულია. სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამას აქვს დარგობრივი მახასიათებლები თითოეული სწავლის შედეგისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამივე პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა
- ეროვნული და ინსტიტუციური რეგულაციები
- უნივერსიტეტის სახელმძღვანელო სწავლის შედეგების შეფასების შესახებ
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის მოხსენებები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან და სტუდენტებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

- იმ შემთხვევაშიც, კი თუ არსებობს მნიშვნელოვანი მიღწევები კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათი ჩართულობა შეიძლება გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე გაყვანის შემდგომი უფრო ფართო ღონისძიებებით და დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართვით.

- გაძლიერდეს სტუდენტების გამოკითხვის შინაარსისა და შედეგების შესახებ მასწავლებელთა ინფორმირების პროცედურები, უკუკავშირის და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერი შეესაბამება ადეკვატურ პროცედურებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განახლებისთვის, ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის ადეკვატური ამოცანების საფუძველზე, რომლის სტრუქტურა, აქტივობები და წევრები სრულად შეესაბამება მოსალოდნელი ქმედებების განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აკისრია შესაბამისი როლი და პასუხისმგებლობა მონიტორინგის პროცესში და შესაბამისი ნაბიჯები გადადგმულია ცვლილებების შესატანად და ინოვაციების დასამტკიცებლად.

პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ნათელი, სფეროს ადეკვატური და ორგანიზებულია სწავლის შედეგების თანდათანობითი მიღწევის გათვალისწინებით, როგორც პროგრამების შიგნით, ასევე პროგრამებს შორის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინტერნაციონალიზაციის შემთხვევაში, ვინაიდან პროგრამები შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს კონკრეტული უნარები, რომელთა ერთობლიობას მივყავართ მოსალოდნელ შედეგებამდე. ამრიგად, ბაკალავრიატის საფეხური ფოკუსირებულია უცხო ენების დაუფლებაზე, მაგისტრატურა აფართოებს ამ სფეროში მუშაობის უნარებს, დოქტორანტურას კი მოთხოვნად აქვს გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალებში.

ინტერვიუების დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა ღირებული ინფორმაცია ამ პროცედურის შესახებ, რითაც შეავსო თვითშეფასების ანგარიში და უაღრესად დამაკმაყოფილებლად უპასუხა კითხვებს ამ თემებზე. პედაგოგებმა გამოავლინეს სოლიდური ცოდნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და მძლავრი შესაძლებლობები მოსალოდნელი მიმართულებით მუშაობისთვის. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აჩვენეს, რომ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები და ძალიან კმაყოფილები საგანმანათლებლო პროგრამით და მისი განვითარებით. აღსანიშნავია, რომ ბაკალავრის საფეხურების სტუდენტთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ გამოხატა სურვილი სწავლა გააგრძელოს კლასტერში შემავალი პროგრამების შემდეგ საფეხურებზე. შესაბამისი ინფორმაცია პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ ხელმისაწვდომია ინსტიტუციურ ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

სწავლის საფეხურის მიხედვით, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს საბაზისო ცოდნას და გაგებას. პროგრამის სავალდებულო კურსები იწყება ფილოსოფიის ეპოქალური გააზრებით, ფილოსოფიურ ტექსტებზე მუშაობით და ძირითადი ფილოსოფიური ცნებების გააზრებით. პროგრამის არჩევითი კურსები სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მოიპოვოს ცოდნა ისეთ საგნებზე, რომლებიც განსაზღვრული იყო სავალდებულო სალექციო კურსების საგნით. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზოგადი კომპეტენციების გაძლიერებას: იქნება ეს ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ანალიტიკური, გუნდური მუშაობის უნარები და ა.შ. პროგრამა ასევე აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას გაიუმჯობესოს ინგლისური ენის ცოდნა, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმდნენ შრომის ბაზარზე. პროგრამის სავალდებულო კომპონენტია ასევე საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი). პროგრამის ხანგრძლივობაა რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი). 240 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო სავალდებულო და არჩევით კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სასწავლო დარგისთვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განისაზღვრება სტუდენტის ე.წ. თავისუფალი არჩევანისთვის. ძირითადი სასწავლო დარგის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 75 ECTS კრედიტი სპეციალობის ძირითად კურსებზე, 35 ECTS კრედიტი სპეციალობის არჩევით კურსებზე და 10 ECTS კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცედურებთან დაკავშირებული ინსტიტუციური დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის რუკა
- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სპეციალიზაციის მოდულს სტუდენტი ირჩევს სწავლის II სემესტრიდან. პროგრამის საერთო საგნები მოიცავს 30 ECTS კრედიტს. II-III სემესტრებში თითოეული მოდულისთვის გათვალისწინებულია სავალდებულო სპეციალიზაციის საგნები 30 ECTS კრედიტით, არჩევითი საგნები 30 ECTS კრედიტით. მაგისტრანტს შეუძლია არჩევითი საგნების გავლა ნებისმიერი მოდულიდან. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას დაეთმობა. ეს სტრუქტურა გამართულია და ადეკვატურად მოიცავს ძირითად სფეროს. იგი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. სათანადო ყურადღება ეთმობა ახალ სამეცნიერო განვითარებას, რათა პროგრამა განახლდეს შესაბამისი სიახლეებით. ინტერნაციონალიზაციის აქტივობები და სტრატეგიები ადეკვატური და ეფექტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცედურებთან დაკავშირებული ინსტიტუციური დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის რუკა
- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის ანგარიშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს 40 კრედიტს, აკმაყოფილებს საფეხურის ყველა მოთხოვნას. მიღების წინაპირობები სათანადოდ არის დადგენილი, რათა მოხდეს წინა საფეხურებთან შეუფერხებელი ბმა და უზრუნველყოს სტუდენტების საჭირო ცოდნა და უნარები დოქტორანტურის სტანდარტების შესაბამისად. სავალდებულო და არჩევითი კურსების განაწილება თანაბრად ადეკვატურია. კვლევითი უნარების გაძლიერებაზე ორიენტირებული კურსები საკმარისი რაოდენობით და შინაარსით არის წარმოდგენილი. პროგრამა საკმარისად მოქნილია და მოიცავს სტუდენტთა მრავალფეროვან ინტერესებს, უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ დისციპლინურ შეხედულებებს, მასში ხდება რეგულარული განახლებები დარგის უახლესი თეორიული განვითარებების შესაბამისად. მოთხოვნები, რომლებიც ორიენტირებულია მეცნიერულ შედეგებზე, შესაბამისი და საკმარისია მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. დისერტაციაზე ორიენტირებული სწავლება ადეკვატურია და საბოლოო ნაშრომის პარამეტრები მკაფიოა და შეესაბამება ამ ტიპის სამეცნიერო ნაშრომის სასურველ ხარისხს. ახალი კვლევის შედეგები და მეცნიერული მიღწევები სათანადოდ არის გათვალისწინებული, რათა ზოგადი პრაქტიკა იყოს თანამედროვე.
ინტერვიუების დროს მენეჯმენტმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სათანადოდ აღწერეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ჩართული პროცესები, რომლებიც ადეკვატურად აკმაყოფილებს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობითი ჩართულობის პირობას. პედაგოგებმა გასცეს შესაბამისი პასუხები ამ გეგმასთან დაკავშირებული კონკრეტული პრაქტიკის შესახებ, სტუდენტებმა კი მოიყვანეს აქტივობების განვითარების ღირებული მაგალითები და დაადასტურეს საერთო სქემის მიზანშეწონილობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცედურებთან დაკავშირებული ინსტიტუციური დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის რუკა
- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის ანგარიშები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსების შინაარსი ადეკვატურია და ხელმისაწვდომია კურსების სილაბუსებში, რომლებიც მიჰყვება სტრუქტურის ინსტიტუციურ რეგულაციებს და სრულ ინფორმაციას სწავლისა და სწავლების მეთოდების, შინაარსის, მიზნების, კრედიტების, სტუდენტების დატვირთვის, მისაღები მოთხოვნების, სწავლის შედეგების, შეფასების პროცედურების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის და ნებისმიერი სხვა ინფორმაციის შესახებ, რომელიც აღმოჩნდება სასარგებლო ამ მიზნისთვის.

კრედიტების სისტემა არის მკაფიო, სათანადო და სწორად შემუშავებული. ადეკვატური ყურადღება ეთმობა თითოეული პროგრამის ფარგლებში კურსებს შორის და სხვადასხვა პროგრამებს შორის ბმას, რაც უზრუნველყოფს ზოგად ბალანსს, რომელიც ორიენტირებულია მოსალოდნელი მიზნების მიღწევაზე. სილაბუსები გვთავაზობს წყაროების ზუსტ მითითებებს და მეორადი ბიბლიოგრაფიის შესწალას, და სათანადოდ არის გათვალისწინებული კურსის თემებსა და სფეროებში ინოვაციების შედეგად მიღებული სპეციალური რესურსები, რისთვისაც გამოიყოფა ბიუჯეტი ბიბლიოგრაფიის შესაძენად. ამ ამოცანებში ჩართული თანამშრომლობითი ქმედებები, რომლებიც ინტერვიუების დროს კარგად აღწერეს სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარეებმა, მიუთითებს სათანადო განვითარებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პირველ პროგრამასთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, არსებობს რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ი, რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ კურსებთან. პროგრამის ყველა კურსი ფასდება ECTS კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და ამოცანები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განისაზღვრება სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსი აღწერს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, კრიტერიუმებს და რუბრიკებს. თუმცა, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები არ შეიცავს აქტივობის შეფასების რუბრიკებს. მაგალითად, კურსები, როგორიცაა: ესთეტიკა, ანალიტიკური ფილოსოფია, ისტორიის ფილოსოფია, ანტიკური და ქრისტიანული პლატონიზმი და ა.შ. კურსის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი რესურსები და ლიტერატურა, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების ინსტიტუციურ პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. პროგრამის ყველა კურსი ფასდება ECTS კრედიტებით. სამაგისტრო პროგრამის შინაარსი, ბიბლიოგრაფია და შეფასება

ადეკვატურია და შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს, რომლებიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით. სასწავლო პროცესის დასკვნით ეტაპზე სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს ანალიტიკური კვლევითი სამუშაო, ანუ სამაგისტრო ნაშრომი. ინგლისურ ენაზე სავალდებულო ლიტერატურის შემთხვევაში, მოსახერხებელი იქნება სხვადასხვა ენობრივი წინაპირობებით დაშვებული სტუდენტების შემთხვევების განხილვა. სილაბუსები ადეკვატურია, თუმცა ყველა შემთხვევაში არ მოიცავს შეფასების რუბრიკებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების ინსტიტუციურ პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამის კურსები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ქმნიან თანმიმდევრულ მთლიანობას. კრედიტების რაოდენობა და განაწილება ადეკვატურია, სათანადო ყურადღება ექცევა საერთო და დამოუკიდებელ საათებს, საუკეთესო ბალანსის მისაღწევად. შეფასების კრიტერიუმები ნათელი და თანმიმდევრულია. მიუხედავად ამისა, სილაბუსები ყოველთვის არ შეიცავს შეფასების რუბრიკებს და სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა გადაიხედოს და გამოხატული იყოს აწმყო დროში. სადოქტორო პროგრამის შინაარსი ადეკვატურია. წყაროებთან და მეორად ბიბლიოგრაფიასთან მუშაობა ადეკვატურია, რათა აღჭურვოს სტუდენტები საკმარისი ცოდნით და უნარებით სასწავლო საფეხურის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების ინსტიტუციურ პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები სხვა ენობრივი წინაპირობებით დაშვებული სტუდენტების შემთხვევაში.

- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ყველა სილაბუსი მოიცავდეს გამჭვირვალე და დეტალური შეფასების რუბრიკებს და სწავლის შედეგები სწორად იყოს ფორმულირებული.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაშვების წინაპირობები ნათელია და შეესაბამება შესაბამის რეგულაციებს. თითოეულ პროგრამაში ხელმისაწვდომია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის შესაფერისი მეთოდოლოგია და ადეკვატურად არის გათვალისწინებული არსებული რესურსები და ინფრასტრუქტურა. სტუდენტების მიღება მთლიანად შეესაბამება ამ მეთოდოლოგიას და მასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია შესაბამისი არხებით, მათ შორის ვებგვერდით, სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, სოციალური მედიით და ღია კარის დღეებით. ისინი სრულად შეესაბამება სხვადასხვა საფეხურის მოთხოვნებს.
ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღწერეს პროცესი და ყურადღება გაამახვილეს ინსტიტუციურ მხარდაჭერასა და მკაფიო კრიტერიუმებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებმაც ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. გარდა ამისა, პროგრამაში ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, მოქმედი კანონის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე და სამართლიანი და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე აპლიკანტების მიღებას. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედი ინფორმაცია მიწოდებულია დროულად, ყოველწლიურად შესაბამის დროს და განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე და ცნობარში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინსტიტუციური რეგულაციები
- დაწესებულების ვებგვერდი

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად საჭიროა ბაკალავრის კვალიფიკაცია შემდეგ სფეროებში: ფილოსოფია, თეოლოგია, რელიგიური კვლევები, ისტორია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია, ფილოლოგია, ლიბერალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები, კულტურის კვლევები, სოციალური და/ან კულტურული ანთროპოლოგია, ამერიკამცოდნეობა, ევროპული კვლევები, ფიზიკა, ან თუ გავლილი აქვთ დამატებითი კურსები (მინორი) ფილოსოფიაში. ასევე აუცილებელია უცხო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ცოდნა B1 დონეზე და სპეციალობის წერილობითი გამოცდის ჩაბარება ფილოსოფიაში. ყველა ეს ელემენტი უზრუნველყოფს სტუდენტების საჭირო დონეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინსტიტუციური რეგულაციები
- დაწესებულების ვებ-საიტი
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)
სადოქტორო პროგრამაზე დასაშვებად საჭიროა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია, უცხო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე, პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო დისერტაციის სავარაუდო ხელმძღვანელის რეკომენდაცია და დოქტორანტურის მისაღები კომიტეტის თანხმობა გასაუბრების, სამოტივაციო წერილის, რომელიც აღწერს საკვლევ სფეროს, სამეცნიერო ნაშრომის და საჯარო სესიაზე პრეზენტაციის საფუძველზე. ყველა ეს ელემენტი ადეკვატური და ეფექტურია სტუდენტების საჭირო დონის გარანტირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინსტიტუციური რეგულაციები
- დაწესებულების ვებგვერდი
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი სამივე პროგრამა სათანადო ყურადღებას აქცევს შესაბამისი უნარების განვითარებას, როგორიცაა კვლევის კომპეტენციები, ზეპირი და წერითი უნარები, ანალიტიკური უნარები, ციფრული წიგნიერება, უცხო ენების ცოდნა და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, რაც აუცილებლად შექმნის მყარ საფუძველს დარგის დაუფლებისთვის. ეს უნარები სათანადოდ არის ორგანიზებული სხვადასხვა საფეხურის თავისებურებების მიხედვით, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდებისა და მიდგომების, სხვადასხვა სახის კურსების და აკადემიური აქტივობების შესაბამისი სპექტრის გამოყენების გზით. ეს აქტივობები მოიცავს აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობას, ტექსტის წარმოებას და პუბლიკაციას. თითოეული პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი სათანადოდ არის გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების შემუშავებისას. სადოქტორო პროგრამა, როგორც დარგში ინსტიტუციური პროგრესის უმაღლესი გამოხატულება, სათანადოდ ითვალისწინებს ტრანსფერული უნარების განვითარებას და გაფართოებას.

ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღწერეს ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა მეთოდი და სტრატეგია. სტუდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი გამოცდილება სასწავლო გეგმის კომპონენტებში და აღნიშნეს საკუთარი მონაწილეობა დამატებით აქტივობებში, მიიჩნიეს რა ისინი ადეკვატურ ინსტრუმენტებად. ასევე, სტუდენტებმა შეაფასეს დაწესებულების მიერ ორგანიზებული აქტივობების რაოდენობა და ხარისხი, როგორც უაღრესად დამაკმაყოფილებელი. შესაბამისი თანამშრომლობა და ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან რეგულარული საქმიანობის ნაწილია.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- სასწავლო გეგმის რუკა
- ინსტიტუციური რეგულაციები
- კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი
- ინფორმაცია დაწესებულებაში წარმოებისა და აკადემიური საქმიანობის შესახებ
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლ ო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ**	**მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ**	**არ შეესაბამება მოთხოვნებ ს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის სტრუქტურამ და წევრებმა გაიზიარეს საერთო შეხედულებები ეფექტური სწავლის მეთოდების შემუშავებისა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის გაზრდის მნიშვნელობის შესახებ, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების უნარების განვითარებას და მათ ავტონომიას. სწავლებისა და სწავლის მეთოდების შემუშავებისას სათანადოდ არის გათვალისწინებული თითოეული პროგრამის კონკრეტული სასწავლო საფეხური. სწავლის შედეგების მისაღწევად, სხვადასხვა ფორმატში, მაგალითად, ლექცია, სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული სწავლება, საშინაო დავალება, შუალედური შეფასება, პრეზენტაცია, აბსტრაქტი, ესე, ქვიზი, დასკვნითი გამოცდა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი და ა.შ., პროგრამა იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია და დებატები. ეს მეთოდები შესაფერისია სტუდენტების ჩართულობის ასამაღლებლად. სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები სათანადოდ არის გათვალისწინებული და ხელმისაწვდომია სწორი სტრატეგიები. ელექტრონული სწავლება ჩართულია პროგრამების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო პანდემიით გამოწვეული ღირებული პროცესები ხელახლა შეფასდა და დაინერგა ტრადიციულ პრაქტიკაში.

ინტერვიუების დროს პედაგოგებმა გამოთქვეს საკუთარი სწავლების მეთოდების და სხვადასხვა საფეხურის თავისებურებების აღწერის სურვილი. ასევე გაირკვა, რომ სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობებს კვლევისა და ტრანსფერული უნარების შეძენის უზრუნველსაყოფად - კონფერენციები, კვლევითი პროექტები, სტატიების გამოქვეყნება, არჩევითი და სავალდებულო კურსები. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს ნაყოფიერი გარემო და შეაქეს სწავლების სტრატეგიების ხარისხი.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- ელექტრონული სასწავლო პლატფორმა და მასთან დაკავშირებული რეგულაციები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები მენეჯმენტთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცები: -

რჩევები: ვინაიდან მოწვეული პერსონალი და სტუდენტები იზიარებენ შეხედულებებს წყაროებზე მუშაობის სწავლების მეთოდების შესაბამისობაზე ბაკალავრიატის დონეზე, შეიძლება ღირებული იყოს მოცემულ პროგრამაში ამ სფეროს გაძლიერებისათვის გზების შესწავლა, ისე, რომ არ გამორჩეთ უკვე მიღწეული ბალანსი.

შეფასება

კომპონენეტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი პროგრამები მოიცავს საგანმანათლებლო სტრატეგიებში შეფასების როლის შესახებ ცალსახა შეხედულებებს. ისინი აღიქვამს შეფასებას, როგორც სწავლების მეთოდის განუყოფელ ასპექტს, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების უნარებისა და ცოდნის გაღრმავებაზე, მიმართავს რა სხვადასხვა სახის გამოცდებს, რომლებიც ორიენტირებულია სხვადასხვა კომპეტენციაზე და სათანადოა ადეკვატური უკუკავშირის წარმოებისთვის. შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნულ და ინსტიტუციურ რეგულაციებს და მკაფიოა. კრედიტების სისტემა ცალსახაა და სილაბუსები შეიცავს საკმარის ინფორმაციას მოცემული კურსის შეფასების კრიტერიუმებისა და თავისებურებების შესახებ. შეფასების მიდგომა ეფუძნება კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი გამოცდების შესაბამის კომბინაციას სხვადასხვა მომენტებში (შუალედური და საბოლოო შეფასებები), რომლებიც ორიენტირებულია სხვადასხვა ასპექტებსა და მიზნებზე. პროცედურა მოიცავს გასაჩივრების მექანიზმებს, შედეგებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში და ითვალისწინებს

მოსახერხებელ უკუკავშირს. ქულების მინიჭება ხდება ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. სადისერტაციო პროგრამების შემთხვევაში, შეფასების ჩარჩო და კრიტერიუმები სრულიად ადეკვატურია და შეესაბამება წინა, სამართლიან ინფორმაციის კრიტერიუმებს სტანდარტებისა და პროცედურის, გარე შეფასების, აკადემიური კეთილსინდისიერების მონიტორინგის მექანიზმებისა და პლაგიატის პრევენციის, საჯარო დაცვის შესახებ. შესაბამისად, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების შეფასება არის გამჭვირვალე და სამართლიანი, ეყრდნობა მკაფიო რეგულაციებს. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკასთან დაკავშირებული ადეკვატური ზომები ინსტიტუციური პროცედურების ნაწილია.
გასაუბრების დროს, ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებებმა და მენეჯმენტის თანამშომლებმა მოგვაწოდეს დამაჯერებელი ინფორმაცია ზოგად მიდგომაში შეფასების როლის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების უნარებისა და ცოდნის ამაღლებას და პროგრამების სტანდარტების გაუმჯობესებას. სასწავლო პერსონალმა ხაზი გაუსვა თითოეული პროგრამის საერთო სტრატეგიებს და შეფასების მიდგომის თავისებურებებს, ხოლო სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა თავიანთი გადმოსახედიდან ისაუბრეს შეფასების სისტემაზე. ვადებისა და განრიგის შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაბრკოლებები არ გამოვლენილა. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა, მცირე ხარვეზად დაასახელეს გარკვეული სირთულეები შეფასების განრიგთან მიმართებაში, რადგან ცხრილები ერთმანეთს ემთხვეოდა ან აკლდა ჩამოყალიბება. დისერტაციის შემცველი პროგრამების შემთხვევაში კურსდამთავრებულებმა მთელი პროცესი უაღრესად პოზიტიურად და კარგად ჩამოყალიბებულად შეაფასეს. აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან და პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკასთან დაკავშირებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ისინი ადეკვატურად არის ინტეგრირებული სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა რეგულარულ პრაქტიკაში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეროვნული და ინსტიტუციური რეგულაციები
- სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- დაწესებულების ვებგვერდი და ელექტრონული სწავლების პლატფორმა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტის პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულებთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა მცირე ხარვეზად დაასახელეს გარკვეული სირთულეები შეფასების განრიგის შესაბამისობასთან დაკავშირებით, განრიგის გადაფარვის ან მათ შორის ბმების გამო. სასარგებლო იქნებოდა ამ ოპერაციული დეტალების და ზოგადად ამ პრაქტიკული საკითხების გადაჭრა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცედურა სამივე საფეხურის პროგრამის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურისთვის.

გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავების კომიტეტი მონაწილეობას იღებს პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცესში, რაშიც ასევე ჩართულნი არიან სტუდენტები. აღნიშნული კომიტეტი მუდმივმოქმედია. ეს ასახულია პროგრამის დაგეგმვა და განვითარების დოკუმენტში. სწავლების დასაწყისში, სტუდენტი იღებს ინფორმაციას ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ეს წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში. ერთი კვირის განმავლობაში, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე, სტუდენტები სერვისებსა და მათ დეტალებზე ყოვლისმომცველ ინფორმაციას პირველი პირებიდან იგებენ. ეს მათთვის ამარტივეს საინტერესო ინფორმაციის მიიღებას შემდგომ სწავლის პროცესთან დაკავშირებით. ისინი იღებენ მომსახურებას დროულად და ხარისხიანად.

გასაუბრების დროს, სტუდენტებმა (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) აღნიშნეს, რომ ისინი ძირითადად საგნებთან, საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას იღებენ, ლექტორებისგან და პროგრამის ხელმძღვანელისგან. ინფორმაციის გავრცელების მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს სწავლის მართვის სისტემის ბაზას, თუმცა, როგორც სამივე საფეხურის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, ეს პლატფორმა მოუხერხებელია მათთვის და უმჯობესი იქნებოდა უფრო მოქნილი ყოფილიყო.

სასწავლო სემესტრის დაწყებისას, თითოეული სასწავლო კურსის პირველ, შესავალ ლექციაზე, სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ. ამგვარად, მასწავლებელი ამზადებს სტუდენტს მოსალოდნელი სამუშაო დატვირთვისთვის, სემესტრის განმავლობაში კონკრეტული სალექციო კურსის ფარგლებში. თითოეული კურსის სილაბუსი ითვალისწინებს საკონსულტაციო საათებს და მოიცავს მასწავლებლის საკონტაქტო ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირს სტუდენტსა და მასწავლებელს შორის, სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული დაადასტურეს სამივე საფეხურის სტუდენტებმა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელები, რეგულარულად ხვდებიან სტუდენტებს და ინფორმაციას აწვდიან ადგილობრივ/საერთაშორისო პროექტებზე/ღონისძიებებზე. როგორც სტუდენტები აცხადებენ, მათ კარგი ურთიერთობა აქვთ ლექტორებთან და მათი ძალიან მადლიერნი არიან, რადგან ლექტორები არამხოლოდ სასწავლო პროცესში არიან ჩართულები, არამედ მათგან ყველა სახის ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. თუმცა, სტუდენტების თანამშრომლობა სხვა ადმინისტრაციულ განყოფილებებთან ძალიან მნიშვნელოვანია და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციის პროცესი უკეთესი გახდება, თუკი ეს პროცესი სტუდენტებისთვის გამარტივდება. უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერას. ცენტრის დახმარებით, სტუდენტები ინფორმაციას იღებენ ახალი ვაკანსიების თაობაზე, თუმცა სტუდენტები არ იყვნენ დაინტერესებულნი აღნიშნული ვაკანსიებით, რადგან ისინი არ შეესაბამებოდა მათ ინტერესებს.

სამეცნიერო კვლევისა და განვთარების სამსახური, რომელიც ფაკულტეტზე მოქმედებს, რეგულარულად ატარებს ადგილობრივ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს. აღნიშნულის

შესახებ ინფორმაციას იღებენ სტუდენტები. საჭიროებისამებრ, ეს სამსახური სტუდენტებს სთავაზობს მხარდაჭერას კონფერენციაში მონაწილეობისთვის (სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები ტარდება სამეცნიერო კვლევისა და განვთარების სამსახურის მიერ ფაკულტეტზე, ქვეყნდება სამეცნიერო ჟურნალები, სადაც კვალიფიციური რეცენზიის გავლის შემდეგ, სტუდენტებს ეძლევათ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა). სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის მხარდაჭერა ასევე ხდება სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლებთან ინდივიდუალური შეხვედრებითა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. 2002 წლიდან, იუნესკოს ეგიდით, კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება. ყოველ წელს, კონფერენციას განსხვავებული სახელი აქვს, თუმცა იდეა ერთია და ეძღვნება ფილოსოფიას.
სამივე საფეხურის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დააფიქსირეს მათთვის გაწეული მხარდაჭერა სამეცნიერო მიმართულებით. როგორც ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, სწავლის დროს, იგი ჩართული იყო სამეცნიერო ჟურნალის „*ზნენი*“-ს შექმნის პროცესში, რაშიც მას ეხმარებოდა უნივერსიტეტი, კონკრეტულად კი ფაკულტეტი.
აღნიშნული სერვისების გარდა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ დამატებითი საკონსულტაციო საათებით. აღნიშნული კონსულტაციები ტარდება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად და ლექტორი ატარებს დამატებით კონსულტაციებს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შეფასებისა და შემუშავების პროცედურა
- ფილოსოფიის საგანმანთლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები
- სტუდენტთა კარიერული
  განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი
- ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესორებთან ჩატარებული გასაუბრებები
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება.
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

იხილეთ რჩევა 4.4. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და პლატფორმების გაუმჯობესების შესახებ.

- დაწესებულებამ ხელი შეუწყოს პროგრამის მიღმა, ადმინისტრაციულ ოფისებთან სტუდენტთა წვდომას და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფს სათანადო მხარდაჭრას, რათა მათ წარმატებით შეასრულონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა, სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების შესაძლებლობას იძლევა.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნის პროცესის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები ასევე არეგულირებენ თანამშრომლობას სამაგისტრო და სადოქტორო თემის ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის. ერთ პროფესორს (ემერიტუს პროფესორი, თსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი, თსუ-ს დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი) შეუძლია ერთდროულად მაქსიმუმ სამ მაგისტრანტს უხელმძღვანელოს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუს პროფესორი, თსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, თსუ-ს დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი (შესაბამისი საგანმანათლებლო სამეცნიერო ინსტიტუტის/განყოფილების შეხვედრის გადაწყვეტილების საფუძველზე). სამაგისტრო ნაშრომს ასევე

შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი. გასაუბრების დროს, სტუდენტებმაც და კურსდამთავრებულებმაც აღნიშნეს, რომ ისინი ნაყოფიერად თანამშრომლობენ თავიანთ ხელმძღვანელებთან. შეხვედრები იგეგმება და ინიშნება საჭიროების მიხედვით და კომუნიკაცია ასევე ხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. მხარდაჭერის ნაკლებობის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. პირიქით, ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტებს ახალი ლიტერატურის მოძიებასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში. ხელმძღვანელები ასევე ეხმარებიან სტუდენტებს, რომ ჩაერთონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ისინი აწვდიან ინფორმაციას და უწევენ კონსულტაციას სტუდენტებს საკონფერენციო თემის მომზადებაში. აღნიშნული დასტურდება კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ.

ხელმძღვანელები ეხმარებიან სტუდენტებს, რომ ჩაერთონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ისინი აწვდიან ინფორმაციას და უწევენ კონსულტაციას სტუდენტებს საკონფერენციო თემის მომზადებაში. აღნიშნული დასტურდება კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ. დოკუმენტის თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია უხელმძღვანელოს შვიდ აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს, რაც მაღალი რაოდენობაა, იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალს სხვა პასუხისმგებლობებიც აქვს. თუმცა, ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სტუდენტების რაოდენობა ამ ლიმიტს არ აღემატება, რადგან ამჟამად ბევრი მაგისტრანტები და დოქტორანტები არ არიან. დოქტორანტს შეუძლია ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტურის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნა ხდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. სათანადო ინსტიტუციური ზომებით, ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასება ტარდება რეგულარულად. ყოველ სემესტრსა და ყოველ წელს, უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა გამოკითხვა, რომელშიც ჩართულნი არიან აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. სტუდენტი აფასებს ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვის ფარგლებში, თავად სტუდენტიც ფასდება ხელმძღვანელის მიერ. თუმცა, ზოგიერთი ხელმძღვანელი არასაკმარისად არის ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება მათი შეფასება.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)** **პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)**	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**11**
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**11**
მაგისტრანტების რაოდენობა	**10**
//დოქტორანტების რაოდენობა	**8**
სამაგისტრო ნაშრომის/მაგისტრანტის და ხელმძღვანელების თანაფარდობა	**11/10**
სადოქტორო ნაშრომების/დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა	**11/8**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო ნაშრომის ანგარიშები
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი
- რეგულაციები დისერტაციების თაობაზე
- სასწავლო პერსონალის რეზიუმეები
- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეფასების შესახებ რეგულაციები
- ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

- პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)- მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელისთვის განკუთვნილი სტუდენტების რაოდენობა არ აღემატება ზღვარს, სასარგებლო იქნება, თუ უსდ იმუშავებს თითო პროფესორზე დისერტაციების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრაზე.

- პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა) - ზოგიერთ აკადემიური პერსონალის წევრს შორის დაწესებულებამ გაზარდოს ცნობადობა ხელმძღვანელის შეფასების პროცესის შესახებ.

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული სამივე პროგრამის აკადემიური პერსონალი შესანიშნავია და აქვთ შესანიშნავი კვალიფიკაციები და კომპეტენციები საიმისოდ, რომ შეასრულონ ნაკისრი როლი. მათ შორის, აქვთ სამეცნიერო მიღწევები, როგორებიცაა პუბლიკაციები, აკადემიურ ღონისძიებებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღება და საერთაშორისო ხილვადობა. მოწვეული პერსონალის

დონე და მიღწევები ძალიან კარგია და ისინი ასევე ფლობენ ისეთ მიღწევებს, რომლებიც შეესაბამება მათ როლსა და პასუხისმგებლობებს. პროგრამის კოორდინატორების პროფილი შესანიშნავია, მოიცავს საკმარის უნარებსა და გამოცდილებას აკადემიური და მართვის საკითხების მიმართულებით.
შერჩევის პროცედურა სათანადოდ არის დანერგილი, მოქმედი გარე და შიდა რეგულაციების შესაბამისად და მოიცავს აკადემიური კონკურსის მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს მაღალი სტანდარტები. სასწავლო პერსონალის რაოდენობა და აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა, ასევე სასწავლო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან ადეკვატურია კურსების ჩასატარებლად და პროგრამის დაგეგმვის შედეგად გათვალისწინებული აკადემიური საქმიანობის განსახორციელებლად; ეს ყოველივე უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სასწავლო პერსონალის სამუშაო დატვირთვა კარგად არის ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს მოსალოდნელი შედეგების მიღწევას. იგი მოიცავს სათანადო დროს სტუდენტთა კონსულტაციისთვის.
პროგრამების მენეჯმენტის პერსონალს აქვს შესანიშნავი პროფილი და საკმარისი შესაძლებლობები იმისათვის, რომ უზრუნველყოს სათანადო მართვა. შეფასებაში, განხორციელებაში, სტუდენტთა კონსულტირებასა და შესაბამისი აკადემიური საქმიანობების ორგანიზებაში ჩართულობა ადეკვატურად იქნა აღწერილი, კონკრეტული ზომების მითითებით.
გასაუბრების დროს, მენეჯმენტის პერსონალმა და აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინეს კარგად ჩამოყალიბებული მიდგომები საკუთარი როლებისა და პასუხისმგებლობებისადმი, გამოავლინეს დარგის შესახებ მკაფიო წარმოდგენა და გაგვიზიარეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამეცნიერო მიღწევებთან დაკავშირებით. ისინი კმაყოფილები არიან სამუშაო დატვირთვითა და შრომითი პირობებით, რაც სათანადოდ არის ჩამოყალიბებული აფილირების ხელშეკრულებებით. მოწვეულმა პერსონალმა გამოავლინა სათანადო აკადემიური და სასწავლო ხედვები და წარმოაჩინა შესანიშნავი ჩართულობა პროგრამებში. თუმცა, მათ მაინც აქვთ სკეპტიკური განწყობები ხელფასებთან დაკავშირებულ სამუშაო პირობებთან მიმართებაში, ასევე წახალისების ზომებსა და აკადემიური საქმიანობისთვის დაფინანსების წვდომასთან დაკავშირებით. მართალია, ეს საერთო გლობალურ პრობლემას წარმოადგენს და არ არსებობს რაიმე განსაზღვრული გამოსავალი, მნიშვნელოვანი იქნება, თუკი დაწესებულება იმუშავებს მოწვეული პერსონალის პირობების გაუმჯობესებაზე, რათა ხელი შეუწყოს მათ სამეცნიერო განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის აკადემიური პერსონალი შეადგენს 65% (სულ 11, მათგან 4 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი , 1 ასისტენტ პროფესორი), ხოლო 35% არის მოწვეული პერსონალი (სულ 7).
წარმოადგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები სათანადოდ კვალიფიციურები არიან, რომ მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. აკადემიური პერსონალის ცალკეულ ნაწილს აქვს საერთაშორისო კვლევითი გამოცდილება, რაც უკავშირდება სტუდენტებისთვის დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე ინფორმაციის მიწოდებას.

პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესორებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ კოორდინირებენ პროგრამის განვითარებას და აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესში.
პროგრამას მხარს უჭერს ადმინისტრაციული პერსონალი. თუმცა, მოწოდებული დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დადასტურდა, რომ სტუდენტები ნაკლებად იღებენ საჭირო ოდენობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. შესაბამისად, სასარგებლო იქნება, თუკი დაწესებულება დაამატებს/გააძლიერებს ადმინისტრაციულ ერთეულებს, რათა გადაიჭრას ზოგიერთი საუნივერსიტეტო პრობლემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა
- აკადემიური პერსონალის დასაქმებისა და კონკურსის წესის შესახებ დაწესებულების რეგულაციები და პერსონალის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია საშტატო განრიგის შესახებ და რეზიუმეები
- პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობა
- დაწესებულების ვებგვერდი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცხრილი და პერსონალის ფუქნციები და პასუხისმგებლობები
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მენეჯმენტის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამა საკმარისად ინდივიდუალიზებულია და ეყრდნობა ხელმძღვანელთა სათანადო რაოდენობასა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, რომლებიც მართავენ მოსალოდნელ აქტივობებს, მათ შორის სწავლებას, კონსულტაციებსა და შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებას. მათი ექსპერტიზის დონე და აკადემიური შედეგები თანაბრად ადეკვატურია. მათი მიღწევები ასახავს სათანადო ცოდნას შესაბამის დარგში თანამედროვე მიღწევების შესახებ. პროგრამის კოორდინატორებს ასევე აქვთ ადეკვატური კვალიფიკაციები და გამოცდილება, რათა მართონ დაგეგმილი აქტივობები და სათავეში ჩაუდგნენ მათ შემდგომ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა
- აკადემიური პერსონალის დასაქმებისა და კონკურსის წესის შესახებ დაწესებულების რეგულაციები და პერსონალის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია საშტატო განრიგის შესახებ და რეზიუმეები
- პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობა

- დაწესებულების ვებგვერდი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცხრილი და პერსონალის ფუქნციები და პასუხისმგებლობები
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მენეჯმენტის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამას ჰყავს ადეკვატური რაოდენობის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც უმკლავდება ამოცანებსა და სტუდენტების რაოდენობას; მათი პროფილები და მიღწევები შესანიშნავია და ისინი ავლენენ დაკრგის თანამედროვე ცოდნას და სათანადო კომპეტენციებს. პროგრამის კოორდინატორის პროფილი, მიღწევები და მართვის უნარები ასევე თანაბრად კარგია. შესაბამისად, ხელმძღვანელთა რაოდენობაც სათანადოა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონალი კლასტერის სხვა პროგრამებშიც არის ინტეგრირებული, ამ საფეხურის თავისებურებები მაინც შესაბამისად დაკმაყოფილებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა
- აკადემიური პერსონალის დასაქმებისა და კონკურსის წესის შესახებ დაწესებულების რეგულაციები და პერსონალის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია საშტატო განრიგის შესახებ და რეზიუმეები
- პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობა
- დაწესებულების ვებგვერდი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცხრილი და პერსონალის ფუქნციები და პასუხისმგებლობები
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მენეჯმენტის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის პერსონალი	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი ,	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

		დარგობრივი ექსპერტიზით[5]	დარგობრივი მიმართულებით.[6]	
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**11**	**11**	**11**	**11**
- **პროფესორი**	4	4	4	4
- **ასოცირებული პროფესორი**	6	6	6	6
- **ასისტენტ პროფესორი**	1	1	1	1
- **ასისტენტი**				
მოწვეული პერსონალი	7	7		–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის პერსონალი დარგობრივი ექსპერტიზით[7]	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით.[8]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**11**	**11**	**11**	**11**
- **პროფესორი**	4	4	4	4
- **ასოცირებული პროფესორი**	6	6	6	6
- **ასისტენტ პროფესორი**	1	1	1	1
- **ასისტენტი**				
მოწვეული პერსონალი	7	7		–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

[5] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

[7] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[8] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	მათ შორის პერსონალი დარგობრივი ექსპერტიზით[9]	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით.[10]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**11**	**11**	**11**	**11**
- **პროფესორი**	4	4	4	4
- **ასოცირებული პროფესორი**	6	6	6	6
- **ასისტენტ პროფესორი**	1	1	1	1
- **ასისტენტი**				
მოწვეული პერსონალი				–
სამეცნიერო პერსონალი				–

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: მოწვეულ პერსონალს აქვს გარკვეული შეხედულებები ხელფასებთან დაკავშირებულ შრომის პირობებთან და აკადემიური საქმიანობისთვის წახალისებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის საერთო გლობალური საკითხი და არ არსებობს მკაფიო გადაწყვეტილებები, მნიშვნელოვანი იქნებოდა მუშაობა მოწვეული პერსონალის პირობების გაუმჯობესებაზე, რათა ხელი შეეწყოს მათ სამეცნიერო განვითარებას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

რეკომენდაციები: -

რჩევები:

[9] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

დაწესებულებამ დაამატოს/გააძლიეროს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი უნივერსიტეტის დონეზე

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

კლასტერის ფარგლებში, ხელმძღვანელები აკმაყოფილებენ ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას, რაც ეხება შესაბამისი დარგის მიღწევებს, ახალგაზრდა მკვლევარების მომზადების ფართო გამოცდილებასა და საერთაშორისო ხილვადობას. ეს მოთხოვნები სათანადოდ არის ჩამოყალიბებული შესაბამის რეგულაციებში და დაწესებულებას აქვს საკმარისი პროცედურები და რეგულაციები მათი შესრულების მონიტორინგისთვის - ყურადღება ეთმობა სპეციფიურ მოთხოვნებს, რომლებიც აკადემიურ ხარისხთან არის დაკავშირებული, კონკრეტულ დარგში კვლევის გამოცდილებას, სათანადო რაოდენობის პუბლიკაციებს და ახალგაზრდა მკვლევარების მომზადების გამოცდილებას. მათ ამტკიცებს აკადემიური პერსონალის წევრებისგან შედგენილი საბჭო, რომელიც აანალიზებს თითოეულ შემთხვევას. ხელმძღვანელების კონკრეტული დავალებები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული დაწესებულების რეგულაციებში და მათი შეფასება ადეკვატურად არის ინკორპორირებული.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)			
სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით.[11]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	11	11	11
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6
- ასისტენტ პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი			
სამეცნიერო პერსონალი			

პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)			
სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით.[12]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	11	11	11
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6
- ასისტენტ პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

[11]ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

[12]ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისგან, რომლებსაც აქვთ მაღალი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, შესანიშნავი აკადემიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის საფუძველზე. გასაუბრებისას ეს შეფასდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა
- აკადემიური პერსონალის დასაქმებისა და კონკურსის წესის შესახებ დაწესებულების რეგულაციები და პერსონალის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინფორმაცია საშტატო განრიგის შესახებ და რეზიუმეები
- პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობა
- დაწესებულების ვებგვერდი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცხრილი და პერსონალის ფუქნციები და პასუხისმგებლობები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მენეჯმენტის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამას მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები ჰყავს. მათი აკადემიური ნაწარმი შესანიშნავია, აქვთ საერთაშორისო პუბლიკაციების მნიშნელოვანი მაჩვენებელი და რამდენიმე საერთაშორისო პროფესიული საქმიანობაც, რაც უზრუნველყოფს მყარი საკონტაქტო ქსელის საფუძველს. გასაუბრების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს მათი მუშაობის მაღალ ხარისხს და მათი მხრიდან სტუდენტებისადმი გაწეულ მხარდაჭერას, ადრეული კვლევითი საქმიანობების განხორციელებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა
- აკადემიური პერსონალის დასაქმებისა და კონკურსის წესის შესახებ დაწესებულების რეგულაციები და პერსონალის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ინფორმაცია საშტატო განრიგის შესახებ და რეზიუმეები
- პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობა
- დაწესებულების ვებგვერდი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცხრილი და პერსონალის ფუქნციები და პასუხისმგებლობები
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- თვითშეფასების ანგარიში

- გასაუბრებები მენეჯმენტის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢უსდ-მ რეგულარულად ატარებს პროგრამის პერსონალის მუშაობის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერსონალისა და პერსონალის კმაყოფილების მონიტორინგი და შეფასება სათანადოდ არის შეტანილი რეგულარულ ინსტიტუციურ პროცედურებში. არსებობს მკაფიო მექანიზმები სტუდენტებისა და მასწავლებლებისგან და კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მისაღებად, გამოკითხვების და სწავლების მეთოდებისა და აკადემიური მიღწევების შესახებ მონაცემთა შეგროვების სხვა ღონისძიებების მეშვეობით. არსებობს შესაბამისი, კონკრეტული ღონისძიებები სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად. დოკუმენტები და ინტერვიუების დროს მოწოდებული

ინფორმაცია იძლევა უამრავ ინფორმაციას შედეგების შემდგომი გაუმჯობესებისთვის გამოყენებისა და პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ, რაც საოცრად დადებითია. მენეჯმენტისა და სასწავლო პერსონალს აქვთ წვდომა საკმაო რაოდენობის ტრენინგებზე, საგრანტო და კვლევით შესაძლებლობებზე. ელექტრონულ სწავლებას ამ ინიციატივების ფარგლებში სათანადო ადგილი უჭირავს. კლასტერის საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები ადეკვატურია და სათანადო განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ინტერნაციონალიზაციის კუთხით საქმიანობის ხელშეწყობის მხრივ მნიშნელოვანი პროგრესი შეინიშნება, კვლევისა და საზღვარგარეთ, აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის მიმართულებით. გასაუბრების დროს, წარმოადგინეს მიმდინარე საქმიანობის სათანადო აღწერა და შემდგომი განვითარების გამართული გეგმები. აღნიშნული გზა კარგად ორიენტირებულია და ღირს მისი გაძლიერება.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის წლიური სამეცნიერო ანგარიშები
- სასწავლო პერსონალის რეზიუმეები
- დაწესებულების ვებგვერდი
- პერსონალის საქმიანობისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტის პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულებთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

- გაძლიერდეს მასწავლებელთა საქმიანობაში გამოკითხვების და სტუდენტთა შეფასების შედეგების შეტანის პროცედურები, უკუკავშირისა და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისთვის.

- ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემდგომი განვითარების შესაფერის გეგმებს, სასარგებლო იქნება ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, პუბლიკაციებთან და მასწავლებელთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ეყრდნობა საკმარის ინფრასტრუქტურას და შესაძლებლობებს, კლასტერში საქმიანობის განსავითარებლად. ბიბლიოთეკას აქვს ადეკვატური რესურსები და სერვისები, მოსახერხებელი ელექტრონული სწავლების პლატფორმებით და მონაცემთა ბაზებზე წვდომით. თვალსაჩინოა, რომ ყურადღება ეთმობა სათანადო ლიტერატურის უზრუნველყოფას და საჭიროა, რომ ეს ძალისხმევა ასე გაგრძელდეს. სამუშაო ადგილები თანაბრად ადეკვატურია, თუმცა სტუდენტები დამატებით განვითარებას ითხოვენ, მაგალითად სტუდენტებისთვის საერთო სივრცეებს, ასევე ინტერნეტ სერვისებისა და პლატფორმების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ სფეროში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, ეს შეიძლება ჩაითვალოს შემდგომ ნაბიჯად მიმდინარე მიმართულებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

ფილოსოფიის პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სივრცით (საგანმანათლებლო აუდიტორიები). გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ თსუ-ის ფილოსოფიის კათედრას აქვს დისკუსიისთვის ცალკე სივრცე, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ აკადემიურ პერსონალს, არამედ მოწვეულს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტებს. სამწუხაროდ, ექსპერტებმა ადგილის დათვალიერება ვერ შეძლეს, რადგან მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს რიგ სამკითხველო დარბაზებს და კომპიუტერული რესურსების ცენტრს, რომელიც საჭირო მასალების მოძიებისა და გამოყენების საშუალებას იძლევა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სხვადასხვა კურსების სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა. ზოგიერთი მასალა სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფოსტაზე (პროფესორი პირადად უგზავნის მათ მასალებს). ბიბლიოთეკის არსებული რესურსების ახალი მასალებითა და საჭირო ლიტერატურით გამდიდრება უწყვეტი პროცესია, თუმცა სასურველი იქნებოდა თუკი დაწესებულება კიდევ უფრო მეტად გაამდიდრებდა მას. შენობაში გამოყოფილია სტუდენტებისთვის სამუშაო სივრცე, მაგრამ გარკვეულწილად არასაკმარისია სტუდენტების დიდი რაოდენობის გამო. უსდ უზრუნველყოფს კომუნიკაციისა და ინფორმაციის მნიშვნელოვან რესურს სტუდენტებისთვის, რომელიც არის სტუდენტური პლატფორმა - სასწავლო პროცესისი მართვის სისტემა (LMS).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მატერიალური რესურსების ამსახველი დოკუმენტები
- დაწესებულების ვებგვერდი
- საბიბლიოთეკო რესურსები, კატალოგი და ვებგვერდი
- ინფორმაცია ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების შესახებ
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტის პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულებთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს რესურსები, რომლებიც შესაძლებელს ხდის საჭირო მასალების მოძიებასა და გამოყენებას; მიმდინარეობს მათი მუდმივი განახლება. სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა, ასევე ჟურნალები და დარგის სხვა მნიშვნელოვანი რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. უფრო მეტიც, მასალები სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული წყაროთი და შესაბამისი მონაცემთა ბაზებიდან, ელექტრონული სწავლების გაძლიერებისა და „რბილი უნარების“ განვითარების გათვალისწინებით. ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებმა წარმოაჩინეს, რომ სათანადოდ ინფორმირებულნი არიან ხელმისაწვდომ რესურსებსა და ტრენინგებზე, რათა ეს რესურსები თავიანთ რეგულარულ პრაქტიკაში გამოიყენონ. მათ მცირე პრობლემები აღნიშნეს, რომელიც ინტერნეტ პლატფორმა LMS-ს უკავშირდება, სტუდენტთა საჭიროებების კომუნიკაციისა და ინფორმაციისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მატერიალური რესურსების ამსახველი დოკუმენტები
- დაწესებულების ვებგვერდი
- საბიბლიოთეკო რესურსები, კატალოგი და ვებგვერდი
- ინფორმაცია ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების შესახებ.
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტის პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულებთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი -პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი რესურსები ადეკვატური და საკმარისია დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისთვის. ბიბლიოთეკა, ციფრული რესურსები და მონაცემთა ბაზები შესაბამისია და ასევე საკმარისია სტუდენტთა მოცემული რაოდენობისთვის. სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა სათანადოდ არის გათვალისწინებული.
ადგილზე ვიზიტის დროს, საბიბლიოთეკო რესურსები სათანადოდ აღწერეს, ასევე ამ სფეროსთან დაკავშირებული ტრენინგის შესაძლებლობები და ამ სერვისებთან მიმართებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც. სასწავლო პერსონალი და სტუდენტები კმაყოფილი არიან ამ რესურსების ხარისხითა და რაოდენობით, თუმცა სტუდენტებმა აღნიშნეს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის პლატფორმის გაუმჯობესების სურვილი. მონაცემთა ბაზებზე წვდომა და ხელმისაწვდომობასა და წვდომის თაობაზე ინფორმაცია სათანადო და საკმარისია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ინფორმირებულობა დარგში არსებულ უახლეს აკადემიურ მიღწევებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მატერიალური რესურსების ამსახველი დოკუმენტები
- დაწესებულების ვებგვერდი
- საბიბლიოთეკო რესურსები, კატალოგი და ვებგვერდი
- ინფორმაცია ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების შესახებ
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტის პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულებთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:
- ამჟამად გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ბიბლიოთეკის რესურსების გამდიდრების გაგრძელება.
- დაწესებულებამ განაგრძოს სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

რესურსების გამოყოფა დამოკიდებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტზე, მათი ორგანიზება განხორციელებადია და ფინანსურად მდგრადი. მოცემული პუნქტები სათანადოა და შეესატყვისება შესაბამის სფეროებს. დამატებითი რესურსების მოპოვების ზომები ადეკვატურად არის გათვალისწინებული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ამგვარად, უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ბიუჯეტში, რომელიც ეკონომიკურად მიღწევადია ზემოთხსენებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებას; პროგრამის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შენარჩუნებას; მივლინებებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს; წიგნად ფონდს და მის განახლებას, გამოქვეყნებას და სამეცნიერო კვლევით ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის ბიუჯეტი
- დაწესებულების საბიუეჯეტო კომისიის მუშაობის თაობაზე ინფორმაცია
- საბიუჯეტო კომისიის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამა იღებს საკმარის დაფინანსებას იმისათვის, რომ დაფაროს ხელფასებით, ინფრასტრუქტურითა და აკადემიური საქმიანობით განპირობებული ხარჯები. დამატებითი ფინანსების მოძიების მნიშვნელოვნება სათანადოდ არის აღწერილი შესაბამის დოკუმენტებში და გასაუბრების დროსაც მკაფიო თემად წარმოჩინდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის ბიუჯეტი
- დაწესებულების საბიუეჯეტო კომისიის მუშაობის თაობაზე ინფორმაცია
- საბიუჯეტო კომისიის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

დაწესებულების მიერ სადოქტორო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ადეკვატურია და ფარავს შესაბამის პუნქტებს. ხარჯების დაფარვაში სწავლის საფასურის გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი ადეკვატურია (60%). ამ რესურსებს ემატება გარედან შემოსული გრანტები, რომელთა სათანადო ხელშეწყობა ხდება და შესაძლებელია კიდევ უფრო გაუმჯობესება საერთო შედეგების გაძლიერების მიზნით. გასაუბრების დროს, მენეჯმენტის პერსონალმა რესურსების გამოყოფის შესაბამისი პუნქტები სათანადოდ განმარტა; ფუნდამენტურ ასპექტებში ამ სფეროს ადეკვატური ორგანიზება დაადასტურეს სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის ბიუჯეტი
- დაწესებულების საბიუეჯეტო კომისიის მუშაობის თაობაზე ინფორმაცია
- საბიუჯეტო კომისიის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება მენეჯმენტთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

- დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა გრანტებისა და პარალელური დაფინანსების მოპოვებაზე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა ხარისხს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ სამსახურებზე. შესაბამისად, სამსახური დაყოფილია ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილებად და აკრედიტაციის, კვლევისა და შეფასებების განყოფილებად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებების შედეგად, გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და კოორდინირებას უწევს ხარისხიანი განათლების მუდმივ შეფასებას. ხარისხის კულტურის გაუმჯობესებით, სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტეგრაციას საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე კოორდინირებს აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების მონიტორინგს. ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია უკუკავშირისა და რეკომენდაციების მიღება-გაცემით პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის ავტონომიურობის საფუძველზე, ინკლუზიურობის, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, განსხვავებულობათა პატივისცემით, მუდმივი კომუნიკაციითა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) პრინციპების მიხედვით.

შიდა შეფასების პროცესში ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი, ასევე სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები. პროგრამის პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შიდა შეფასების პროცესის მიმართულებით, განსაზღვრავს შესაბამის შეფასების მეთოდებსა და პრაქტიკას, ასევე გენერირებული მტკიცებულებების მიმართულებით, რომლებიც გამოიყენება მთლიანი პროგრამის შეფასების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. პერიოდულად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ეწყობა ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამის შეფასების პროცესებს, ეს ნიშნავს შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას პროგრამისა და შესაბამისი კვალიფიკაციების მიხედვით. უსდ ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და კონკრეტული შეფასების მექანიზმების ადაპტირებას, საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, დისტანციური სწავლების პროცესი მოითხოვდა განახლებულ კმაყოფილების კვლევებსა და შესაბამის შეფასების ფორმებს. ასეთი სპეციფიური ფორმები ასევე შემუშავდება ხელმძღვანელობის პროცესის შეფასებისთვის.

პროგრამების შეფასება ხდება წინასწარგანსაზღვრული თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, როგორებიცაა სტუდენტების რაოდენობა, პროგრესი და აუცილებლობები, დასაქმების მაჩვენებელი, კურსის დამთავრების მაჩვენებელი, პროგრამის პერსონალი, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ანალიზი. პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები და შეფასების შედეგები წარედგინება პროგრამის განვითარების კომიტეტებს, შესაბამის ფაკულტეტს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოებს.

უნივერსიტეტმა დანერგა, დაგეგვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის ყოვლისმომცველი და წარმატებული პრაქტიკა. ეს საგანმანათლებლო კომიტეტი შედგება ყველა დაინტერესებული მხარისგან და მოიცავს მათ ჩართულობას უსდ-ში ხარისხიანი განათლების განვითარებაში. კომიტეტი შედგება არამხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდნეტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებულ პირთაგან. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს შესაძლებლობებსა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე, რომლებიც განსაზღვრულია კომიტეტებისა და თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე მუშაობს შესაბამის რეკომენდაციებზე. შიდა მონიტორინგის პროცესი ასევე აქტიურ პრაქტიკას წარმოადგენს უნივერსიტეტში - მოქმედებს შიდა კოლეგია აკრედიტაციის ექსპერტთა სესიებისა და მთელი პროცესის სიმულაციური პროცესის ჩასატარებლად. განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად, სიმულაციური შეფასებისთვის სამიზნე პროგრამები არის ის პროგრამები, რომლებიც ექვემდებარება ხშირ ცვლილებებს და ისინი, რომლებშიც არ ხდება ხშირად ცვლილებები.
ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ, აკრედიტაციის ვიზიტის მიგნებებისა და შესაბამისი დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე, აშკარაა, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასება წარმოადგენს თანამშრომლობით პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ექსპერტები და შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან ერთად იმუშავა თვითშეფასების ანგარიშების ჩამოყალიბებისას გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრაზე და დაგეგმა შემდგომი განმავითარებელი ნაბიჯები. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის მოსამზადებელ პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ძალისხმევამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის ყველა საფეხურის პროგრამის განვითარებაში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამები
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება, რომელიც დამტკიცდა თსუ-ს წარმომადგენელთა საბჭოს სხდომაზე
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და შემუშავების წესი
- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტი
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის დადგენილება N81 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ.
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის დადგენილება N78, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ.

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის N113 დადგენილება, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები ასისტენტ პროფესორები, ასისტენტები) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმა და ინდიკატორები
- სილაბუსის შეფასების ფორმა და ინდიკატორები
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პერსონალის გამოკითხვის კითხვარის ფორმები
- ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით, რასაც ატარებს განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებებს კი წარუდგენს ფაკულტეტს. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ექსპერტთა მიგნებებისა და მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად განვითარებას.
საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ფასდება გარე ექსპერტების, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მიერ. უსდ-მ განახორციელა ქვემოდან-ზემოთ მიდგომა, მოიწვია საერთაშორისო ექსპერტები და შეისწავლა კლასტერული აკრედიტაციის პროცესები ევროპულ ქვეყნებში, რათა პროცესი უფრო მომწიფებული გაეხადა. 2021 წელს ფილოსოფიის სამივე პროგრამა შეფასდა განმავითარებელი შეფასების პროცესით. ექსპერტთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ორი პროფესიონალი ლონდონისა და ბონის უნივერსიტეტებიდან, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეაკრედიტაციისთვის პროგრამების მომზადებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამები
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და შემუშავების წესი
- ფილოსოფიის პროგრამების საპილოტე კლასტერული აკრედიტაციის შესახებ ინფორმაცია
- ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე სუბიექტებს. აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები წარმოადგენს ცენტრალურ ხელსაწყოს გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, ასევე თანამონაწილეობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვევი გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. ასევე წინასწარგანსაზღვრული სააუდიტორიო დაკვირვება, კოლეგების შეფასება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის. მაგისტრანტები და დოქტორანტები აფასებენ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის განხორციელებას, ასევე სამეცნიერო ზედამხვედველობას. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის დასასრულს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და სეგრეგირებული მონაცემები სკოლების მიხედვით განიხილება სკოლის საბჭოების მიერ. შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე, ამას ასევე მოწმობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, ასევე დარგის სპეციალისტებთან ჩატარებული

გამოკითხვები. ამ ანალიზის სამიზნე არის პროგრამის შემდგომი განვითარება და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას საუკეთესი პრაქტიკისთვის, რათა განავითაროს საერთაშორისო დონის კონკურენტული პროგრამა. როგორც წესი, სამიზნე უნივერსიტეტების შერჩევა ხდება მათი წარმატების მაჩვენებლისა და დარგის სტანდარტებთან შესაბამისობით.

ფილოსოფიის კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ ფილოსოფიის მახასიათებლების განვითარების ჯგუფში და ამ მახასიათებლის შექმნისას ისინი ხელმძღვანელობდნენ მსგავსი უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკით. დარგობრივი მახასიათებელი გამოიყენება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის პროცესის ერთ-ერთი ცენტრალური ხელსაწყო. დოკუმენტი განსაზღვრავს იმ მინიმალურ კომპეტენციებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს (ბაკალავრს, მაგისტრს, დოქტორს) და ითვალისწინებს დარგის შესაბამის საერთაშორისო მოთხოვნებსაც. შესაბამისად, პროგრამები იზიარებენ ფილოსოფიის მოწინავე უნივერსიტეტების გამოცდილებებს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამები
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და შემუშავების წესი
- შეფასების ფორმები და გამოკითხვის შედეგები
- ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებელი
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

დანართი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები: ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა; ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა; ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

სარჩევი: / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი
პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

კლაუდია მარსიკო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მაკა ლაშკია

მირიან ებანოიძე

თამთა ცხოვრებაძე

თამარ თავხელიძე